

43  
1884 / 5.


4035



# ივერია

1884

№. № XI & XII, ნოემბერი და დეკემბერი



თბილისი.  
ექვთიმე ხელაძის სტამბა.  
1884


შინაარსი:

- I. ძრიქანგი (კომუდია), თსზ. მოღიერისა (დასასრული). . . . . 3
- II. წმიდა ნინო (ჰოქმა პ. ა. მზოხინინისა) თარგ. ივ. კერესელიძისა . . . . . 52
- III. უცხოელის აზრი «ვეფხვის-ტყაოსანზე» (ჰოქმის გადათარგმნის გამო ფრანსიულს ენაზე) წერილი ბარონ სუტნერისა. . . . . 68
- IV. რას შამომცქერი ძმობილო? (ლექსი) თ. რაფ. ერისთავისა. . . . . 103
- V. ძართული საეკლესიო ხელონაწერები ხელოვნობის მხრით დ. ბაქრაძისა . . . . . 105

დამატება:

~~VI~~ მასალა ისტორიისათვის. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა (დასასრული).

VII ბანცხადებანი



# ივერია

05  
n-39

საკონსტიტუციო და სალიბერალურ  
ქუჩისა

წელიწადი მეორე

№ № XI & XII

43  
1884/5

თბილისი

ექვთიმე ნელოძის სტამბა, ლორის-მედიკოსის ქუჩაზე  
1884

265 3355

Дозволено цензурою. Тифлисъ, 5 Декабря 1884 г.



პ რ ი ჯ ა ნ ბ ი

(დასასრული) \*

მოქმედება მესამე

გამოსვლა 1.

ჰარპაგონი, კლეანტი, ელიზა, ვალერი, კლოდია  
(ხელში ცოცხი უჭირავს) უაკი, ლამერლიში, ბრინდაკუანი.

ჰარპაგონი. ახა, აქეთ მოდით, რომ ყველას შესატერი ბრძა-  
ნება მოგცეთ და ყველას თავისი საქმე დაგარიგოთ.  
კლოდ, წინ წამოდექი, შენიდგან დავიწეებ. ყოჩაღ, თარ-  
ხმალიც თანა გქონია. ყური დამიგდე, მე შენ გიბძანებ,  
ყველათერი კარგად დასწმინდე, მაგრამ მებუფი ბეკრი არა  
ხეხო, თორემ გაცვდება და ვაი შენი ბრალდი. ამას გარ-  
და, ვახშიმის დროს ბოთლები შენთვის ჩამიბარებია; არა  
დაიკარგოს-რა, ან არა გასტუხოთ-რა, თორემ გაჩვენებ  
შენს სეიჩს. სულ შენის კისრიდამ ამოვიღებ.

უაკი. კარგი მუქარაა.

ჰარპაგონი. (კლოდს) გასწი, წადი!

\* ) «ივერია» № № 9 და 10, 1884 წ.

## გამოსვლა 2.

ივინივე, კლუდიას გარდა.

ჰარპაგონი. თქვენ, ბრინდაკუან და ლამერლიში, თქვენთვის ჩამიბარებია სტაქები და ვახშმის დროს ღვინის დასხმა, მარჯვით იმას მიართვი ღვინო, ვისაც სწყურებდა და ზოგიერთს უგუნური ბიჭებისაგან არ მოიქცეთ, რომელნიც სტუმრებს აღარ მოუშვებიათ, გინდა თუ არა დადიო! წყალი ბლამ-ბლამად ზიდეთ და კარგად გახსოვდეთ, ნუკავის ნუ დააფუინებთ ღვინოს, მინამ რამდენჯერმე არ მოითხოვოს.

უკი. (თავისთვის) დიაღ, უწყალო ღვინო თავში გაუჯდებათ. ლამერლიში. ძველი ტანისამოსი გაიხადეთ თუ არა, ბატონო?

ჰარპაგონი. გაიხადეთ და ახალი ჩადვით, რომელსაც სტუმრები მოკლენ. მაგრამ გაფთხილდით არ გაათუჭოთ.

ბრინდაკუანი. ბატონო, თქვენ თითონაც კარგად მოგესვენებათ ჩემი საცმელის წინ კალთები ნაკითთა მაქვს დალაქებულად.

ლამერლიში. მე კიდევ, ბატონო, შარვალი გახვრეტილი მაქვს და რომ მოვბრუნდები ხელმე, უკაცრავად ვასუხია...

ჰარპაგონი. ჩემად კედელთან იყავ ატუზული და ლაპარაკის დროს ზურგი არავის შეაქციო (მიუბრუნდება ბრინდაკუანს და აჩვენებს რომელი უნდა ეჭიროს ქუდი, რომ კალთებზე ლაქები დაფაროს). შენ კიდევ ასე გეხუროს ქუდი, რომელსაც გვემსახურებოდე.

## გამოსვლა 3.

ჰარპაგონი, კლეანტი, ელიზა, ვალერი, ჟაკ.

ჰარპაგონი. შენ, ხედავ, ჩემო ქალა, ნასუფრად გეჭირებს თვალი  
 არა წახდეს-რა. სწორედ საქალა საქმეა. ჭო, მართლა,  
 მოემზადე და კარგად დახვდი ჩემს საცოლას. დღეს შენ-  
 თან ავირებს მისკლას. გესმის რას გეუბნები?!

ელიზა. ბატონი ბრძანდებით.

## გამოსვლა 4.

ჰარპაგონი, კლეანტი, ვალერი, ჟაკ.

ჰარპაგონი. თქვენ, ვაჟ-ბატონო, წინანდელი ცუდლუტობა  
 რომ გახატო, რომ კიდევ არას ავირებს, რომ არ ავირებთ  
 რომ ცუდად დაუხვდეთ ჩემს საცოლას?!

კლეანტი. მე იმას ცუდად უნდა დაუხვდე!

ჰარპაგონი. ეჭვი! ვიცით რა შვილიც ბრძანდებით ესლანდე-  
 ლი ახალ-გ-ზდა უმაწვილები, ვიცით რა თვალითაც უყუ-  
 რებთ თქვენ დედი-ნაცვლებს; მაგრამ თუ გინდა, რომ  
 თავის დღეში აღარ მოვიგონო შენი უგანასკნელი ცუდ-  
 ლუტობა, გიბრძანებ კარგად მოექნე შენ დედი-ნაცვალს,  
 და, რაც გი შეიძლება, ასაძინო.

კლეანტი. მართალია გითხრა, მამა-ჩემო, ვერ დაგზიბდები,  
 რომ ძალიან მიხაროდეს მისი დედი-ნაცვლობა; ტყუილი  
 დაპირება იქნება. მაგრამ ამ შემთხვევაში გი ბეჯითად  
 აღვასრულებ თქვენს ბრძანებას—კარგად და მხიარულად  
 დაუხვდები.

ჰარპაგონი. ძალიან კარგს იზამ.

## გამოსვლა 5.

ჰარპაგონი, ვალერი, ჟაკ.

ჰარპაგონი. ვალერ, ესაა შენც დამკობარე. ჟაკ, ახა წინ წამოდევ, საბოლოოთ შენ დაგარჩინე.

ჟაკ. ვისთან გნებავთ ლაპარაკი, თქვენს გუბერთან თუ მზარკუულთან? თქვენი მე განლაგართ და ამიტომ გთხოვთ, ბატონო, მიბრძნეთ.

ჰარპაგონი. თქვენთან.

ჟაკ. მაინც პირველს რომელს დაუწყებთ ლაპარაკს.

ჰარპაგონი. მზარკუულს.

ჟაკ. მისი ცოტა მოძითმინეთ (იხდის გუბერის ტანისამოსს და რჩება მზარკულის ტანთ-საცმელში).

ჰარპაგონი. რა თავს იგდებ!

ჟაკ. ესაა კი მიბრძნეთ.

ჰარპაგონი. მე მიხდა, ჟაკ, ამაღამ კარგი ვახშამი გაკობართო.

ჟაკ. (თავისთვის) ჩხირი კედელს.

ჰარპაგონი. ერთი მითხარი, ხომ კარგს ვახშამს გაგვიკეთებ?

ჟაკ. კარგი მოგეტყვას, თუ ფუფუნს კარგს მიბრძებთ.

ჰარპაგონი. რა?! დაუწყევლოთ ღმერთმა! სულ ფუფუნი და ფუფუნი! თითქმის სხვა აღარა ითქმებოდეს-რა მაგის მეტი: ფუფუნი, ფუფუნი და ფუფუნი! გაგონილს აძენი ფუფუნედ ლაპარაკი?

ვალერი. თქვენმა მზარკომ, ამაღამ ბრძენი კაცი თავის დღეში არ მიხასხამს. ერთი მითხარი, რა დიდი საქმეს ბუკრის ფუფუნით კარგი ვახშამს გაკეთებ? დიდი ჭკუა უნდა



მაგას? მაგას ხომ უკვლავ უგუნური შეიძლება. ბიჭს მაშინ დაგიძახებ, რომ ცოტა ფულთ ვარკვი ვახშამი გააკეთო.

ქაკ. ვარკვი ვახშამი ცოტა ფულთ?

ვალერი. ჰო, რას გაგვიკვირდა?

ქაკ. (ვალერს) ჩემს მხრით, ბატონო მოურავო, ძალიან მადლობელი ვახდები, თუ მაგისთანა საიდუმლოს გვასწავლი, და რადგანაც უკვლავურში თქვენ ეხირობით, დიდად დამაკალებთ, თუ ჩემს თანამდებობასაც თქვენ იკისრებთ...

ჰარპაგონი. ბეჭს ნუ ებუღებ! შენ ისა სთქვი, რა მოგიინდობა?

ქაკ. აი ბატონო თქვენი მოურავი უფრო იათვად გაგიკეთებთ ვაი ვახშამს.

ჰარპაგონი. ჩუმად! მე შენ ვიბძანებ.

ქაკ. რამდენი სული იქნებით?

ჰარპაგონი. ჩვენ ვიქნებით 8 ან 10 სული, შენ რვისათვის მოამზადე, რადგანაც სადაც სხვა ვაცისათვის არის მოამზადებული, იქ ათიც ვარკვად სჭამს.

ვალერი. რა თქმა უნდა.

ქაკ. მაშ თქვენ მოგიინდობათ ცივი ხორცი, წვნიანი, მოხრავული...

ჰარპაგონი. რას მიჭქარავ! მთელი ქალაქი უნდა გაძლო თუ რა ამბავია?!

ქაკ. შემწვარ...

ჰარპაგონი. (პირზედ ხელს აფარებს) აი, შე მუხანათო, მთელს ჩემს ცხოვრებას სულ შენა სჭამ!

ქაკ. ტკბილ...

ჰარპაგონი (კიდევ ხელს აფარებს პირზედ) კიდევ?

ვალერი. (ყავს) რას მიუღებ-მოუღები? აქ ხალხის ამოწვევით  
 ხომ არ გინდა? ჩვენს ბატონს იმიტომ ხომ არ დაუზა-  
 ტიუნია სტუმრები, რომ ჭადიით სული ამოართვას? ჯერ  
 წადი, წავივითხე პატარა და ეჭიმებს გამოჭკოთხე, რა კნება  
 შეუძლია მეტის-მეტს ჭამას და მერე ილაჭლაქე აქა.

ჰარპაგონი. აი კარგი სიტყვა.

ვალერი. იცოდე, ყავ, შენცა და შენისთანა უმგზავსლებმაც,  
 რომ თუ კაცის მოკვლა გინდა, ბევრი ხორცი უნდა მო-  
 უტანო ხელში სადილად. სტუმარი მამინ დაგჩხება კმა-  
 ყოფილი, რომდესაც უკვლას თავს რომიურად მიუტან.  
 ხომ გაგიგონია ანდა? აჭამა სიცოცხლისათვის გვიან-  
 და და არა სიცოცხლე ჭამისათვის!

ჰარპაგონი, ოჰ, რა მშვენიერად არის ნათქვამი! მოდი ერთი  
 გაგონო მაგ სიტყვისათვის! ეგრე ჭკვიანური ჯერ არა  
 გამიგონია-რა. დიად, სიცოცხლე ჭამისათვის გვიანდა და  
 არა ჭამა სიცოცხლე... არა, არა... რაგონა სთქვი, ჩუ-  
 მო ვალერ?

ვალერი. ჭამა სიცოცხლისათვის გვიანდა და არა სიცოცხლე  
 ჭამისათვის...

ჰარპაგონი. (ყავს) ჭო! გაუურება? (ვალერს) რომელმა მეტ-  
 ნიერმა სთქვა ეგა?

ვალერი. ეხლა, ბატონო, სახელი ვერ მომიგონია.

ჰარპაგონი. არ დაგავიწყდეს, ეგ სიტყვები დამიწერე; ჩემი  
 სასტუმრო ოთახის ბუხარზე დაგაწერინებ ოქროს ასო-  
 ბით.

ვალერი. ბატონი ბრძანდებით, უთუოდ. ვახშმისათვისაც,  
 თქვენი ბრძანებალა მაკვია, თორემ უკვლას ისე ვაკმა-  
 თავ, რაგონც რიგია.

ჰარპაგონი. მას შენთვის მომიხდება.

ჟაკ. ძალიან კარგი; მე უფრო მოსვენებით ვიქნები.

ჰარპაგონი. (კალეს) იმისთანა საჭმელები მოამზადე, რომ ბუკრი ვერ იჭმებოდეს და ძალიან კი აძლავდეს: ღარიბი ზეთით მოხრაგულო, კაი გუზატები ღარიბს ხორცილთ გატენილი.

ვალერი. თქვენ ნუ შესწუხდებით, ეგ მე მომიხდება.

ჰარპაგონი. ესაა, ჟაკ, ჩემი კვიზაჟი გაწმინდე.

ჟაკ. მომიხდებათ პატარა, ეგ გუბრის საჭმეა (ჟაკი გადიცვამს გუბრის საცულს). თქვენ ბრძანებთ რომ...

ჰარპაგონი. რომ ჩემი კვიზაჟი გასწმინდო და ცხენები მზათა გვეხდეს ბაზარში წასასვლელად...

ჟაკ. თქვენი ცხენები, ბატონო? რის ცხენები? თქვენი ვეღარ დაუძრავთ. თქვენ იმათ ისეთ მარხვას ანახებთ, რომ, მგონია, ბუბია ჩემსაღ არ შეუნახავს, რაღა ხორცი შეჩებოდათ?

ჰარპაგონი. რამ განაღა აგრა, რომ არათუ არს აკეთებენ.

ჟაკ. განა ვინც არს აკეთებს, ჯამა არ უნდა? ნეტავი გეჭმიათ რამე და ჯათვით თუნდა სული ამოგერთმიათ. გული მიკვდება, იმათ საცოდნობას რომ გუყურებ; ჩემი ცხენები ისე მიყვარს, რომ იმათი ტანჯვა ჩემს ტანჯვად მიმაჩნია დიერთი ხომ არის მოწამე—პირიდგან ლუგმას ვიღებ და იმათ ვაძლეე. აბა რა გულის გაცი უნდა იყოს, რომ პირუტყვი არ ებრავებოდეს...

ჰარპაგონი, ბაზარშიდის არს უმავთ-რა, დიდი ჯათა არ დადგებათ.

ჟაკ. არა, ბატონო, მე იმათი წვალება არ შემიძლია, შოლტს იმათ ვერ დაკვრავ და უიძისოდ ესაა ისინი ვერ გა-

მოდგებიან. არა, ერთი მიბრძანეთ, ეკიზაყოს როგორ დასძრამენ, თავის თესებიც რომ ვერ დაუძრამთ?

ვალერი. ნუ სწუხართ, ბატონო, მე ჩვენს მეზობელს დაუძრამს; ცხენებსაც გაუძღვება და ვახშმის გაკეთებასაც ვკითხულობ...  
 უკუაღას...

უკ. გიშველს ღმერთმა! ისევე სხვის ხელში დაიხრცნენ ჩემ ხელში დახრცვას.

ვალერი. ვარგის იზამდი, უკ, რომ ჭკუას ძაღს არ ატანდო.

უკ. თქვენ უფრო ვარგის იზამდით, ბატონო მოურავო, რომ ყველა საქმეში არ ეხხირობოდეთ.

ჰარპაგონი. (ყავს) ჩუმად, ბევრს ნუ ყბედობ...  
 უკ. მე, ბატონო, პირ-მოთხეობას ვერ გაუძღვებ. განა არ მუშის, რისთვისაც სხადის ეს უმაწვილი ამისთანა საქმეებს. ამისთანა არა იქნება-რა, რომ მაგას ხელადამ არ გამოუვიდეს: მზარეულიც კი არის, ხაბაზიც, მეჯინებაც, ჯაჭიაც და მეცნიერიც. მაგის ბაჭი-ბუჭმა ილაჯი წაიღო. მითომ რა? ბატონს თავი მოკაწონო და შეკაყვარო. ის კი არ იცის ჩემმა ბატონმა, როგორ შეუკურთხებენ ხელ-მე, რაკი თვალადგან მოიძორობენ. ბარემ გული მიღრი-ნავს, მაგრამ რას ვიზამ. ტყუილს ბატონო, მე შენ არ გატყუო, დამიჯერე, ღმერთი არ გაძიწერება, ისე მიყვარხარ, რომ ჩემს ცხენებში ვერ გამოიძიწერებ...

ჰარპაგონი. არ შეიძლება, ერთი გავიგოთ, როგორ შეძომიკურთხებენ ხელმე?

უკ. მოგახსენებდი, მაგრამ ვაი თუ გაძიწერე.

ჰარპაგონი. ნუ გეშინიან, არ გაგიწერები.

უკ. უკაცრავოდ კი ნუ ვიქნები, ბატონო, და მეტონია კი, რომ გაწინებათ.

ჰარპაგონი. მე ვინ-იქით მადლობელიც დაგჩები თუ ვი-  
ლას შემატყობინებ, რასაც ჩემოდ ლაპარაკობენ.

ჟაკ. მის თუ აგრეს, ყველას სიძარტლეს მოგახსენებთ.. საი-  
თაც კი მიიხედავთ, ყველგან თქვენ დაგცინიან. ისე ვინ  
არაფინ არ დააღებს, რომ თქვენი სხელი არ ახსენოს და  
ფედ, უგანჯული ვასუხია, ათასი რაღაც რაღაცები არ  
მიყუდლეს. ერთს მოუგონია, ვითომც თქვენ ახალი ეს-  
მნი შეგიდგენიათ; ქრისტიანულად ხომ ერთის მეტი დიდ  
მარხვა არ არის, თქვენში ვითომ ოთხი იყოს, ახა რა  
მესაგონია? მეორეს მოუგონია, ვითომც თქვენ ბიჭებს  
განგებ უგანჯობდეთ და ეხსებებდეთ ყველას გასკლას  
დრეს, რომ ჯამაგინი თქვენ შეგჩები. მესამე ამბობს,  
რომ თქვენი მუხობლას კატაფედ სანივარი შეგიტანიათ,  
ცხვირის დუმიის ნაგლეჯი მომპარა; გინახათ ამისთანა  
ლაყდ-ნდარაობა? მაგრამ ეს კიდევ არაფერი, ერთს მოუ-  
გონია, რომ თქვენ თითონ შეზარულხართ ერთს ღამეს  
თქვენსაკე თაკლში, თქვენვე თქვენსაკე ცხენებისათვის  
ქერის მოპარვა გდამებიათ, მაგრამ მეჯინბეს მოუსწორი-  
ხართ ბნულში და იმდენი ურტყამს, რომ სულ ზურგი-  
ღამ ტყავი აუძვრიათ, მაგრამ სირცხვილით ხმა ვერ ამო-  
გიღიათ. რაღა ბუჩი გაგიგრძელეთ, ბატონო, ერთის  
სიტყვით ყველგან თქვენი ღანძლვა ისმის. ყველას თქვენ  
ყოფილხართ: მუნწიც, წუწიც, ქეციანიც, ღანჩიც და,  
უგანჯული ვასუხია...

ჰარპაგონი. (ჟაკს ცემას დაუწყებს) რას მიჭქარამ, შე თითონ  
წუწო, შე ღორე შენა, შე ღანჩიკო.

ჟაკ. რას შემატყობებ ბატონო, ავი მოგახსენებდი, ნუ მათქმე-  
ვინებ სიძარტლეს, გუფს მოგიყვანთ მეტეი.

ჰარპაგონი. ამას იქით ჭკუას ისწავლი (გადის).

## გამოსვლა 6.

ვალერი, ჟაკ.

ვალერი. გეუო თუ არა! (იციანის) კარგად დაგიჯდა, მგონი,  
შენი სიმართლე... რა გინდოდა ჭა? (გადის)

## გამოსვლა 7.

მარინა, ჟაკ, ფროსინა.

ფროსინა. ჟაკ, თუ იცი, ბატონი შინა ბრძანდება?

ჟაკ. ვიცი და აგრე? დიაღ, შინ არის.

ფროსინა. მოახსენე ერთი თუ ღმერთი გწამს, რომ ჩვენ  
აქა ვართ.

## გამოსვლა 8.

მარინა და ფროსინა.

მარინა. აჰ, ფროსინა, რა უცნაურს მდგომარეობაში ვარ,  
რა რიგად მუშინიან იმის ნახვისა.

ფროსინა. რისა გეშინიან, ან სამწუხარო რა გაქვს?

მარინა. როგორ თუ რა! ნუ თუ ვერ წარმოგიდგენია რა  
დარდი უნდა ჭქონდეს იმ კაცს, რომელიც დღეს, ხვალ  
სატანჯუკელს მოუღის?!

ფრანსუა. განა არ ვიცი, რომ თუ ვი ამოიხივებოდა დივან-  
დებს სექსუ, თქვენ ზრახვებს არ ამოიხივებოდა, ის ქერა ვი,  
რომელიც ვეღარ ვეღარ მეღაპრებოდათ, რომელიც ვხუ-  
დავი, თუაღვი დაგვიღობია.

მარინა. გამოგიტყუებო, ფრანსუა, რომ ის დივანს—მომ-  
წონს და სულ თვალი-წინ მიღება, მეტადვე მასუკან, რაც  
იმან ჩვენ სახლში სიარული დაიწყო:

ფრანსუა. გაიციანთ ვი, რა ვადა?

მარინა. გაცნობთ ვი ჯერ არ გამიცნობია, მაგრამ შესედილ-  
ბა ვი იმისთანა ვქვს, რომ უთუოდ თავს შეგავაჩვენებ;  
რასაკვირველია, მე რომ მომანდონ, ყველას მაგას გამჯრ-  
ბინებდი და, უნდა ვითხრა, რომ მაგის ბრალიც არის,  
რომ უხვანდელი ჩემი საქმით ვგრე მამოფრთებს.

ფრანსუა. საკვირველია, დივანს გეფიცებოთ; ქერა, უმწვი-  
ლები ასე ავარებენ თავს, მაგრამ უმეტესნი მათგანნი  
საშინელი ღატაკები არიან. საქმით ისე მდიდარი ბე-  
ბერი გიჩვენია. მართალია, გული სხვას გეუბნება და  
ბებერი შენი შესაფერი არ არის, მაგრამ მაინც ეგა სჯობს,  
რადგანაც მალე მოკვდება და შენ სრულებით თავისუფა-  
ლი დარჩები, მაშინ ვინც გიყვარს ის ამოიხივი.

მარინა. უჰ, ფრანსუა, მაგას რომელი ამბობ? ჩემი საბუნდო-  
რად სხვის სიკვდილს უნდა მოკვლადე; პირიქით ხომ  
ვერ ჩამოვარდები, უთუოდ მოკვდი მეტი.

ფრანსუა. მამ რა გგონია? უიმილად არას გზით არ შეი-  
თა, მინამ პირიქით არ მოგცეს, რომ მალე დაგაქვრი-  
ვებს.

მარინა. უჰ, შენი ჭიჭიმი, რასა ზრახვას!

## გამოსვლა 9.

ჰარპაგონი, თროსინა, მარინა.

ჰარპაგონი. (მარინას) მავატივე, ჩემო ხელმწიფე, რამ სა-  
თვალისები გახელი, შენის სიმშვენის სიმწერად.  
თქვენ ისეთის მშვენებით ბრწყინავთ, რამ სათვალეობი  
საჭირო არ იყო; მაგრამ ყოველს მნათობს სათვალეობითა  
შინჯვენ ხელმე და, რადგანაც ჩემთვის თქვენ უმშვენესე-  
სი და უტურთესი მნათობი ბრძანებით ყველა მნათობ-  
თა შორის, ამიტომ გაუბედ და სათვალეობი გაგიკეთე.  
თროსინა, რატომ ხმას არ იღებს; არც სიყვარული ეტ-  
ყობა ჩემის დანახვით.

თროსინა. ჯერ კიდევ უცხრობს. ხომ იცით, ყველა უმაწვი-  
ლი ქალები მოცხებები არიან და თავის დღეში არ იტყვიან,  
რაც გულში უღევთ.

ჰარპაგონი. მართლაც ამბობ. (მარინას) აი უმშვენესეო, ჩე-  
მი ქალიც გახლებათ...

## გამოსვლა 10.

ჰარპაგონი, ელიზა, მარინა, თროსინა.

მარინა. უკაცრავად, რამ აქამდის ვერა გნახეთ და ვერ გა-  
გიცანით.

ელიზა. რასა ბრძანებთ, ბატონო, სიტყვა დამასწარით, თე-  
რემ ბოდიში მე უნდა მომეხადნა.



ჰარპაგონი. მოზრდილი ქალი კი მუაკს, მაგრამ ცუდი ბაღა-  
ხი უკუკეთვის მალაღი იზრდება.

მარინა. (ფრანსინას დაბლა) რა, რა სამაგული რამ არის!...

ჰარპაგონი. რას ბრძანებს ჩემი მშეთ უხახავა.

ფრანსინა. სულ თქვენს ქებაშია.

ჰარპაგონი. მაგ ბედნიერების ღირსი არა ვარ, ჩემო მშეუ-  
ნიერო!

მარინა. (ცალკე) ღმერთო, რა მხეცია!

ჰარპაგონი. მეტის-მეტად მავალბთ მაგ გრძნობის გამოცხა-  
დებით.

მარინა. (ცალკე) მეტის მოთმენა აღარ შემიძლიან.

## გამოსვლა 11.

იგინივე, კლიენტო, ვალერი, ბრინდაკუანი.

ჰარპაგონი. აი, ჩემი შეილიც გახლათ თქვენს სანახავად.

მარინა. (ფრანსინას დაბლა) ფრანსინა, ჭხედავ? ეს სწორედ  
ის არის, ვისზედაც მე გულაპყრობდი.

ფრანსინა. ეს კაი ამხავია!

ჰარპაგონი. რეგორცა სჩანს, გიკვირთ, რომ ამისთანა დიდ-  
რანი შეილება მუაკსს მაგრამ მალე მტერი მოგიკვდეს,  
მალე მე ეგები თავიდან მოვიშორო.

კლიენტო. (მარინას) სწორედ მოგახსენათ, მე არ მოკვლად  
დი ამისთანა შემთხვევას და დიდად გამაკვირვს მამა-ჩემმა,  
თავის გულის წაღილი რომ გამოვიცხადა.

მარინა. მეც ეგევე უნდა მოგახსენათ. ჩვენს აქ ერთმანერთთან

შეხვედრას არც მე მოკულობდი და დიდადაც გამაჰვირვას. გლეხანტი. მართალია, მარინა, თქვენზედ ვარგის მამა-ჩემი გერავის ვერ ამოიჩვენებდა, და დიდად მოხარული ვარ თქვენის აქ ნახვისა; მაგრამ ამასთანავე, უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენი დედი-ნაცვლელი ანათრად მიაძებს. დემეტრე თქვენც დაგიფარათ მაგისტანს ხვედრისაჲს. იქნება გარკვეულად ვარგის არ მოეწონოს ჩემი სჯა, მაგრამ დაწმუნებულად ვარ, თქვენ გი დამუთახნებთ, რომ საზიზღარი ცოლ-ქმრება გძულთ. თქვენ ვარგად იცით, როგორ შემეხება მე კვ სავსე და ამიტომ გასაჰვირვადი არ არის რომ ასე ცხარედ ეკიდები გამოგიტყდებით და გეტყვი, თუ მამა-ჩემის ნებაც იქნება, რომ ყოველს დონისძიებს მოგახმარებდი თქვენის ჯვარის-წერის დასარღვევად, ჩემზედ რომ იყოს დამოკიდებული.

ჰარპაგონი. გინახათ კიდევ ამისთანა ურცხვი? ერთი მითხარ, ვინ გუბნება აღსარება მითხარი?

მარინა. ჩემის მხრით მეც იმასვე მოგახსენებთ, რაც თქვენ მიხრძანეთ: თუ თქვენ ჩემი დედი-ნაცვლელი მიგახინათ სამწუხაროდ, მე კიდევ უარესად თქვენი გერობა. ნუ გუგონებათ, რომ მე ვარ მაშეზი თქვენის მწუხარებისა; მე ჰატოლსანს სიტყვას გაძლევთ, თავის დღეში არ დაუთახნებდები ამისთანა ჯვარის-წერაზედ, რომელიც თქვენ შეგაწუხებთ, თუ ვინმე ძალა არ დამატანს.

ჰარპაგონი. სწორედ აგრე უნდა. სულელებს სიტყვას ჰასუხნიც შესაფერი ეკუთვნის. ბოდიშს ვინდი, ჩემო მშენიერო, ჩემის შვილის სიბრყვისათვის. ჯერ ჰატარა ჭკუა აკლას და არ ესმის, რასა ჰბოდავს.

მარინა, მეწმუნეთ, რომ მაგის სიტყვებმა სრულებით არ

მაწყენინა. მე უფრო მადლობელი ვარ, რომ ავრე გადა-  
მიშალა თავის გულად.

ჰარპაგონი. ეგ ხომ მეტის-მეტი წყალობაა თქვენგან მაგდუ-  
ნი შეცოდების მიტოვება; მაგრამ არა უშავს-არა თან-და-  
თან ჭკუას ისწავლის და გამოიფიცოს აზრს.

კლუანტი. შემცდარი ბრძანდებით, მამა-ჩემო, მე რაღა ვსთქვი,  
თავის დღეში არ გადავთქვამ...

ჰარპაგონი. ვერ უყურებთ ამ საძაგელს? ეზლა უფრო თავს  
გაკიდა.

კლუანტი. მამ რა ვქნა? ჩემ გულს მე თითონ ვუღალატო?

ჰარპაგონი. დიდება შენთვის ღმერთო! აღარ დაგკვხსნები?

კლუანტი. წარმოიდგინეთ, მშვენიერო მარინა, რომ მე მამი-  
ჩემის მაგივრად ვდგვარ თქვენ წინ. შენ ხარ უმშვენიერ-  
ესი ქმნილება მთელს ქვეყანაზედ; დედა-მამის უზრუნველ  
ჯერ არა დახადებულა-არა უკეთესი, და იმაზედ ბუნებრივი  
ქვეყანაზედ არავინ იქნება, ვისაც შენ მოიწონებ. არა ხელ-  
მწითის ბედს არ დავხარბდებოდი, თუნდ მთელი ხმელე-  
თი ეზურას ხელში, შენთან გვირგვინის დადგმას რომ  
ვედიხსებოდე. აჰ, მარინა, მე მეტი არა მინდა-არა, ვე-  
ლარაფერი დამიდგება წინ, არაფერს არ შევუშინდები და  
უკვლას ავიტან შენი ერთი სიტყვისათვის, აღონდ ვი  
შენ მითხარ: ჩემი ხარ. აჰ, აღონდ ვი...

ჰარპაგონი. დაწყენარდი, დაწყენარდი!

კლუანტი. ბატონო, მე თქვენ მაგივრად ვლავარავო.

ჰარპაგონი. ახა, ღმერთო! მე ენა დამება, თუ რა ამბავია?  
რასაც მოვინდომებ, მე თითონაც ვარგად ვიტყვი, შუა-  
მავალი რაღა საჭიროა. შენ აქ სკამები მოართვი, ის კი-  
ჯობინებს.

მარინა. არა ბატონო, სჯობს ჯერ ბასარში წავიდეთ, უფრო  
ადრე დავბრუნდებით და უფრო ბევრი დრო დაგვრჩება  
სამუსაიფოდ...

ჰარპაგონი. (ბრინდაკუანს) ცხენები შეაბმეკინე საჩქაროდ  
ეკიპაჟში...

## გამოსვლა 12.

ივინივე, ბრინდაკუანს გარდა.

ჰარპაგონი. მახსტივუ, ჩემო მშვენიერო, რომ აქამდინ სამ-  
ხრად არა მოგართვით-რა.

კლევანტი. მე წინათვე მივხვდი, რომ ასე მოხდებოდა და  
ამიტომ თქვენ მაგიერად მოვატანინე მალაზიიდან რამდე-  
ნიმე კაფათა თორთოხალი და ძურახები.

ჰარპაგონი. (ვაჯურს დაბლა) ვაჯურ!

ვაჯური. (ჰარპაგონს) გაგონილა!..

კლევანტი. მამა-ჩემო, ცოტად ხომ არ გეჩვენა. არა უმავს-  
რა, მარინა ისეთი კარგი გულისაა, რომ მოგვიტოვებს.

მარინა. რასა ბრძანებთ, ბატონო, არც ეგ იყო საჭირო.

კლევანტი. რა მაგის ვასუხია, და გინახამთ სადმე ამისთანა  
ბრწყინვალე ადამსი, როგორც მამა-ჩემსა აქვს თითზედ?

მარინა. მართლათაც მშვენიერება რამ არის...

კლევანტი. (მამას ხელიდან წაძრებს ბეჭედს და მარინას აძ-  
ლევს) არა, თქვენ ახლო გაშინჯეთ როგორია!..

მარინა. მშვენიერება რამ არის, მშვენიერება, საკვირველად  
ბრწყინავს.

კლუანტი. (წინ დაუდგება მარინას, რომელიც ჰარპაგონს ბეჭდის მიცემას უბრძობს) თქვენ არ მამიკვდეთ, ესაა თავის შესათუქს თითებს უჭირავს. მამა-ჩემი პირის-სახსნავად მოგაჩთვათ.

ჰარპაგონი. მე?

კლუანტი. ამ ბეჭედს თქვენ სახსოვრად აძლევთ მარინას, განა მამა-ჩემი?

ჰარპაგონი. (კლუანტს დაბლა) როგორ თუ?

კლუანტი. (მარინას) ავი მოგახსენეთ. შესუდეთ, როგორ მუხაწება ჩემს მაგივრად მინათვიო.

მარინა. რას ბრძანებთ, ბატონო, მე თვითონ არ ავიღებ.

კლუანტი. (ნებას არ აძლევს დაუბრუნოს) არა, თქვენმა მშენებმა, ძალიან ეწეინება.

მარინა. ნება მომეცით.

ჰარპაგონი. (ცალო) დასწევალა ღმერთმა, ამისთანა უბედურება გაგონილა!

კლუანტი. შესუდეთ, როგორ ჰსწეინს, რომ უარს აძებთ...

ჰარპაგონი. (კლუანტს დაბლა) დამაცადე, შე მუხანათო!

კლუანტი. კარგი ახლა, ცოდოა.

ჰარპაგონი. (კლუანტს დაბლა) დამაცადე, შე ავანსკო.

კლუანტი. მამა-ჩემო, ხომ ხედავთ ჩემი ბრალი არ არის, მე რაც ვა შემიძლიან ვეხვეწები, აილე მეთქი, მაგრამ ვერ გზით ვერ დაკაჯერე.

ჰარპაგონი. (კლუანტს დაბლა) დამაცადე, შე ჩამოსახსნობო.

კლუანტი. თქვენი ბრალი იქნება, მარინა, მამა-ჩემი რომ წამეხსნებო.

ჰარპაგონი. დამაცადე, შე არამწადავ.

კლუენტი. დიქტოს გუფიტებით, ავად გახდება, ნუღარ გაჯიუტ-  
დებით, აიღეთ...

ფროსინა. (მარინას) რა დაგემართათ თქვენც? გამართვით,  
რაკი აგრე გესკეწებიან.

მარინა. (ჰარპაგონს) რაკი აგრე სწუხთ, მეც აღარ გაწყენი-  
ნებთ.

### გამოსვლა 13.

ივინივე და ბრანდაკუანი.

ბრანდაკუანი. ვიღაცა კაცი გახლათ, ბატონო, თქვენი ნახ-  
ვა უნდა.

ჰარპაგონი. წადი, უთხარ, რამ არა მცაჯიან; მუარკედ მო-  
ვიდეს.

ბრანდაკუანი. ფული უნდა მივართვა ბატონსაო.

ჰარპაგონი. (მარინას) პატარა ხანს დამითხრეთ, ესაჲკე  
გიახლებით.

კლუენტი. მინამდისინ, მამა-ჩემო, თქვენს მაგიერად მე გავ-  
სწეგ მასპინძლობას და მარინას ბაღში მივართმევ სამ-  
ხარსა.

### გამოსვლა 14.

ჰარპაგონი და ვალერი.

ჰარპაგონი. ვალერ, თუ გიუგარდე, უკლაფერზედ თვალ-უუ-

რუ გეჭირებს, ეგება შატავა ბეჭი გადახარჩუნო სამხარს,  
რომ ვაჭარს უგანვე დაკუბრუნო.

ვალერი. ბატონი ბრძანდებით.

ჭარჭარანი. ჩემ დასადუშავად ძეგლად შეიდი. დამატად, შე  
ჩამოსახარებო!

(ფარდა დაეშვება)

# მოქმედება მეოთხე.

## გამოსვლა 1.

კლევანტი, მარინა, ელიზა, ფროსინა.

კლევანტი. ასე მობძინდით, ეს ისეთი ადგილია, სადაც თამამად შეგვიძლიან, წაზედან გვინდა, იმაზედ მოვილახვარავით.

ფროსინა. თანაც ძალიან ურიკოდ მოვიქცებით. თქვენც განზრახვა ცოტა ადრე რომ გამოგვბოლო, საქმესაც განვიწყვიტავთ და ამ გაჭირვებულს მდგომარეობიდანაც დაგვიხსნიდით.

კლევანტი. რა გაეწყობა, ჩემს ბედს უნდა დავემდებრო. მშვენიერად მარინა! შეიძლება შენი სურვილი შევიტყო?

მარინა. ჩემი სურვილი ეს არის, რომ დედაჩემთან მოვილახვარავით. მე იმისი დიდი ხატნი მაქვს; ვატარებოდგანვე თუთუნებაში გავუზღვიარ და სწორედ გითხრა, არ მინდა, რომ იმას მწუხარება მივაყუნო.

კლევანტი. შენ ჩემი ფროსინა, ამ საქმეში ხელს არ მოგვიმართავ?

ფროსინა. ეგ რაღა საკითხავია; რაგონ არ მოგიმართავთ. ხომ იცით, რაგონი შემბრალებული ვარ ვადაცა. იცით ხომ, რომ ღმერთს ჩემთვის ქვის გული არ მოუცია.



კლიენტო. ახ, გეთყვან, მოგვარე რამე.

ფროსინა. კგ სჯემე მე ძლიერ მეძნელება, (მარინას მიუბრუნდება) დედა შენთან სჯემის გარდგება ადვილია; ის კეთილი და გონიერი დედა-კაცია; იმედია, იმას მალე დაგიყოფილებთ, რომ შენ, მამის მაგონებად, შეიღწახ მიგათხროვოს. (კლიენტს მიუბრუნდება) მაგრამ ვაი, რომ მამა-შენი სხვა მამებს არა ჰგავს.

კლიენტო. კგ მე ვიცი.

ფროსინა. (მარინას) ეგება რაგონებში მოვასხრობთ და თვითონ იმას თქვენზედ უარი ვათქმევინო.

კლიენტო. ძალიან კარგი იქნება.

ფროსინა. დიაღ, კარგი იქნება; მაგრამ ამის მოხერხება, მე ვაი არა, უშეძლებელი არ შეუძლიან. ეს რა ვაი ფიქრი მომივიდა, იცით რა? მოდი მოვინახოთ სადმე ერთი ხანში შესული ქალი, აი ჩემსავით მოხერხებულად და ხმა დაკვირვებით, რომ ვითომც ის ასეაღ მოსულა უცხო ქვეყნიდან და უთვალავი ქონება აქვს, ვითომც მამა თქვენი იმას გაგვიყობით უყვარს და ძლიერ მოწადინებულად იყოს, რომ ის შეიერთოს და თავის ქონებასაც სრულებით დაუმტკიცებოს. არა მგონია ამისთანა აზრებს, ყური არ ათხროვოს. მართალია, თქვენ იმას ძლიერ უყვარხართ, მაგრამ ცოტა თქვენზედ მეტად იმას ფულები უყვარს. რადესაც იმას დავაჯერებთ, შეიძლება თქვენს ქონებასზედაც დაკათანხმდეთ, ბოლოს მინებაც, მართალია, გაიგებს, მაგრამ ბევრიც იხტუნოს, რაღას დაგვაკლებს...

კლიენტო. უკეთესი მოხერხება არ უნდა, რომ ეს არის!

ფროსინა. მე კგ მივიწყებ. მე მიცი და ამ სჯემე! ჩვენ რომ ქალი გვიჩინდა, ისეთი ქალიც მოხდა მესამე.

კლევანტი. ფროსინა! თუ ამ საქმეს კარგად დახედავ, იცოდე, შენს სიკეთეს გადავიხდი. საყვარელო მარინა, შენ უნდა დედა-შენს შეუჩნდე; ვიცი ის უარს არაფერზედ გეტყვის თუ შემწოდ გეყოლება ეგ შენი სიღამაზე, სიტურთუ, ტბილად მოუბარე ენა. და განსაკუთრებით შენი ალერსი, აი ეგ ალერსი, მაგ ეშხიან, მოცინარ თვალებზე და ნაზ ტუჩებზედ რომ ესე მშვენიერად იხატება. (ხელზედ ჭკოცნის).

მარინა. რითაც გი შევიძლება.

## გამოსლვა 2.

ჰარპაგონი, კლევანტი, მარინა, ელიზა, ფროსინა.

ჰარპაგონი. (მოშორებით სდგას. იმის იქ ყოფნას ვერ შენიშვნენ) ამას რას ვხედავ? ჩემი შვილი ხელზედ ჭკოცნის თავის დედინაცვალს; ისიც უარს არ ეუბნება. აქ რაღაც ამბავია?

ელიზა. აი მამა-ჩემიც.

ჰარპაგონი. კარეტა მზად გახლავთ; რაღა გნებავდეთ, მაშინ წახდით.

კლევანტი. მამა-ჩემო, რადგანაც ამათ თქვენ მიჭყუებით, მე მაინც გაგჭყუებო.

ჰარპაგონი. არა, არა! ეგენი მარტო წავლენ. შენ აქ დარჩი, მე შენთან საქმე მაქვს.

## გამოსვლა 3.

## ჰარპაგონი და კლუანტი-

ჰარპაგონი. დედი-ნაცვლობით კი ნუ მოეჩილება და სწორედ მითხარ: შენ რას ვფიქრობ მაგ ქალებზე?

კლუანტი. რას ფიქრობ?

ჰარპაგონი. ჯო, იმის შესუღულობაზე, ტანადობაზე, სიმშენიერებაზე, ჭკუაზე....

კლუანტი. ახა რა ვიცი, რას ვფიქრობ.

ჰარპაგონი. მანც?

კლუანტი. გამეგოტყულები მამა-ჩემო, მე რეგოტყუებო მეგონა, ისეთი არ არის. რაღაც მეტის-მეტო პრანჭია სხანს, ტანიც უშნო აქვს, სალამაშითაც მაგდენი არათუკის და არც დიდი ჭკუის პატრონი გახლავსო.

ჰარპაგონი. წელან შენ იმას ელაპარაკებოდო...

კლუანტი. დიაღ, თქვენ მაგირ, რაოდ ტებილი სიტყვა ვუთხარ...

ჰარპაგონი. ერთი ეს მითხარ, შენ იქაზე თვალთ ხომ არ გიჭირავს...

კლუანტი. მე? კი რა სათქმელა?

ჰარპაგონი. გამიგონე. რაღაც მე ის ქალი კარგად გაუშინჯე, მერე ცოტა ხანს ჩავუფიქრდი. თვალ-წინ ჩემი წლოვანება წარმომიდგას; მერე ამ აზრმა გამიეღვა თავში: ვინ რას იტყვის, რომ ამ ხნის კაცმა ამისთანა ახალგაზდაზედ ჯვარი დაუწერო. ამისა გამო მინდოდა იმ ქალებზე ხედი ამეღო და შენთვის დამეთმო; მაგრამ ხათახლას ის

არის, რომ შენ ის არ მოგწონს.

კლუანტი. ჩემთვის უნდა დაგეთმონ?

ჰარპაგონი. ჭო!

კლუანტი. საცოლოთ?!

ჰარპაგონი. ჭო!

კლუანტი. მასე ყური დამიგდეთ. მართალია, მე ის ქალი არ მომიწონს, მაგრამ თუ თქვენთვის სასიამოვნოდ იქნება ვაგბედავ ჯვარის დაწერას.

ჰარპაგონი. არა, შეილა, მეც გამეგება რამე. ისე შეუგნებულად არა ვარ, როგორც შენ გგონია, მე სიყვარულის დამალება არ მიუვარს.

კლუანტი. მამა-ჩემო! ღმერთს გეფიცები, თქვენი გულსათვის ძალად შევიყვარებ.

ჰარპაგონი. არა, შეილა, არა. ცოლ-ქმარს თუ ერთი-ერთ-მანეთი არ უყვართ, ბედნიერი არ იქნებიან.

კლუანტი. მამა-ჩემო! სიყვარული ისეთი რამ არის, რომ ჩვენდა უნებურად დაინერგება; ნათქვამია, სიყვარული ქორწინების ნაყოფია.

ჰარპაგონი. არა! სწორე ვითხრა, ვაცო წინ-დაუხედაობით ბევრს წააგებს. შენს ადგილას მე ამას არ ვიზამდი. შენ რომ ის ქალი გყვარებოდა, მე იმას თავს დავანებებდი და ჩემმაგურ შენ იმაზე ჯვარს გადავწერდი, მაგრამ, რადგანაწ შენ ის არ მოგწონს, რაღა გაეწეობა, ისევე მე უნდა შევირთო.

კლუანტი. მასე კარგი! რახან ეგრეა, მე ახლავე გადაგიშლი ჩემს გულს: გეტყვი ჩემს საიდუმლოს. მართალი თუ გინდა ეს არის: მე ის ქალი მას აქედ მიუვარს, რაც ის ერთხელ სუიციდობის დროს ვნახე. ახლა უნდა მეთხროვა,

რომ იმისად ჯვარის დაწერის ნება მოგეცათ; მაგრამ ვერ  
გაგებდე; იცოდა, რომ იმ ქალსად თქვენც თვალი გეჭი-  
რათ და არ მინდოდა გამეჯავრებინეთ.

ჰარპაგონი. დახვიდოდა იმასა თუ არა?

კლევანტი. დახვიდა.

ჰარპაგონი. ხშირად?

კლევანტი. დიად, ხშირად.

ჰარპაგონი. კარგად გეზურებოდნენ?

კლევანტი. ძალიან კარგად, თუმცა ჩემი ვინაობა ვი არ  
იცოდნენ...

ჰარპაგონი. გამოუცხადე იმას შენი სიყვარული? აცნობე,  
რომ შენ განდა იმისად ჯვარი დაიწერა?

კლევანტი. უეჭველია, რომ ეგრე იქნებოდა. ჩემი განზრახვა  
მის დედასაც შევატყობინება.

ჰარპაგონი. მერე უნდა გითხრა?

კლევანტი. არა.

ჰარპაგონი. ქალსაც უყვარხარ?

კლევანტი. ჰო, როგორც ვატყობ, ის კარგის თვალით უნდა  
მიუხრებდეს.

ჰარპაგონი. (ხმა-დაბლა, პირველ მოკიდებით) კარგი ამბები  
შეიძლება; მეც ეს მინდოდა. (ხმა-ძალიან) ვაყ-ბატონო!  
იცო რა გითხრა! მე შენ გაბძახე, იმ ქალის სიყვარული  
გულიდამ ამოიკრუნო! არ იცი, რომ შენ იმისად უნდა  
დაიწერა ჯვარი, ვიხუდაც მე მიგითითებ?

კლევანტი. განა ეგრე მასხარადაც უნდა ამოგდოთ? მას კარ-  
გი! რა ხან ეგრეა მე პირდაპირ გამოგიცხადებ! მოგი-  
კვდეს მარინას სიყვარულზედ ხელის ამღები! რაც უნდა  
საშინელი მდგომარეობა მომელოდეს, იცოდე ყოველი

განსაცდელისათვის მზადა ვარ და თუნდაც რომ იმის  
დედა დაიყოლიო, იცოდეთ მაინც ვერას გაიტან.

ჰარპაგონი. აი, შე აწიროკო, შენა! შენ მიბუდავ ჯიბრში  
ხადგომას?

კლევანტი. მე კი არა, შენ მიდგებარ ჯიბრში. შენზედ ვინ-  
კლად მე არ განუცხადე ჩემი სიყვარული?

ჰარპაგონი. მე მამა არა ვარ? შენ მე არ უნდა მეძიარჩილე-  
ბოდე?

კლევანტი. ველარ გაიგე, რომ მაგისტანა საქმეში შეილება  
მამას აღარ უძიარჩილებინ? სიყვარული არავის უძიარჩი-  
ლებს; იმას აღვირს ვერაგინ ამოსდებს.

ჰარპაგონი. რაღა კაი კაის ძიარტყამ, მაშინ დაგიძიარჩი-  
ლებ მე შენ!

კლევანტი. შენ მაგითი ვერ შემაშინებ!

ჰარპაგონი. თუ კაცი ვარ, მაშინაზე ხელს აგალებინებ.

კლევანტი. რაგორ შეგიძლიან.

ჰარპაგონი. რაო? ჩქარა, ჩქარა, ჯიბრში მომაწოდეთ!

#### გამოსვლა 4.

ჰარპაგონი, კლევანტი, ჟაკ.

ჟაკ. ჰეი, ჰეი! ეს რა ამბავია? ჩხუბი რაგორ გეკადრებათ,  
ბატონო!

კლევანტი. მე შენი ჯიბრისა არა მეშინიან!

ჟაკ. (კლევანტს ეტყვის) ხმა დაიმდაბლე, ემაწიდეო, ძიარ-  
დებს გმარტებსო!..

ჰარპაგონი. შე უსინდისო შენა! რაგონ ჭბელავ კბრე  
 უზრდელად ჩემთან ლაპარაკს.

ჟაკ. ანატოკე ბატონო, ანატოკე!

კლევანტი. მე ჩემს სიტუვას არ გადავსთქვამ.

ჟაკი. (კლევანტს ეტყვის) რაგონ ჭბელავთ მაგას მამა-თქვენ-  
 თან?

ჰარპაგონი. გამიშვით!

ჟაკ. რას ნებულობთ, ბატონო, რასა! შეილზედ აწევთ სა-  
 ცემრად? მე რამ მტემთ, კიდევ ჭო, ჭო...

ჰარპაგონი. ჟაკ, მოდი, შენ გააჩიე ჩვენი საქმე; მაგრამ  
 ჯერ კი ჩემი გაიგონე...

ჟაკ. ბატონი ბრძანდებით! (კლევანტს მიუბრუნდება) ემწვილთ  
 არ შეიძლება ცოტა უკან დადგეთ.

ჰარპაგონი. ჟაკ! მე მიუვარს ერთი ქალი; ძალე იმასედ ჯვარ-  
 რის დაწეწას გაბიკებ. ის ქალი ამ წუწესად შეჭყუარებინა.  
 ამასაც უნდა იმასე ჯვარი დაიწეროს; თავს არ ანებებს,  
 ჩემი უჩიი ხდება.

ჟაკ. კბ მტყუანია ამ საქმეში.

ჰარპაგონი. კაცო, გაგონილა, რამ შეილი მამას ეჯობრე-  
 ბოდეს? ნუ თუ შეილს დედ-მამის იმოდენა მორჩილება  
 არ უნდა ჭქონდეს, რამ მამის სიყვარულს არა ჭკად-  
 როს-რას?

ჟაკ. მართლსა ბძანებთ. თქვენ აქ მომიტმინეთ—მე მივალ და  
 იმასთან მოვილაპარაკებ. (დაჯდება).

კლევანტი. (მიუკებება ჟაკს, რამელოც იმას უახლოვდება) ჟაკ,  
 მეც შენ ამომიჩიუიხარ; შენ იცი, რაგონც პირუთვნე-  
 ლად გააჩიე ჩვენს საქმეს.

კლევანტი. ჟაკ! მე მიუვარს ერთი ქალი; იმასაც მე ვუყვარ-

ვარ; მამა-ჩემიც კარშიყუბა. შენ რას იტყვი ამხედ.

ჟაკ. მტყუანია მამა-თქვენი.

კლემენტე. სირცხვილი არ არის მაგ ხნის კაცი ცოლის შერ-  
თვაზედ ჭფიჭრობდეს, ან შეჭფურის მაგას არშიყუბა? კბ  
საქმე მაგან ყმაწვილ-კაცებს არ უნდა დაუთმოს!

ჟაკ. მართლსა ბრძანებთ; ალბად ხუმრობს მამა-თქვენი. ერთი  
წავიდე იმას დაგვიტხონ. (ჭარბაგონს ეტყვის) კბ, საკვირ-  
ველი კაცი ბრძანდებით, დმურომანო. მე თქვენ შეილში  
გასაკიცხავს ვერასა ვხედავ. ის ამბობს მხლელად, რასა-  
კვირველია, შეილი მამას უნდა ემოჩნილებოდესო, მაგ-  
რამ მამასაც მართებსო, რომ შეილს კარგად მოეზყრასო.  
ოღონდ შესაფური საცოლოდ აღმოჩნით, ის მეტს არა-  
ფურსა ვთხროთ.

ჭარბაგონი. წადი და უთხარი, რომ თუ კვლე ჭკვიანად და-  
ჭერს თავსა, ჩემგან ბუკრს წყალობას მოულოდეს. ოღონდ  
მარინას თავი დაანებოს და სხვა ვინც უნდა ამოიჩიოს.

ჟაკ. კბ მე მომანდეთ. (კლემენტეს მიუბრუნდება) მამა თქვენი  
ისეთი შეუგნებელი კაცი არა სჩანს, რაგორც თქვენა  
გგონიათ. მართალია, ის თქვენს ყოფა-ქცევას გაუცოფუ-  
ბია; თქვენი საქციელი არ მოსწონებია; მაგრამ ახლა  
მოლბა და ყველაფერზე გეთანხმებათ. მხლელად თქვენ კი  
იმასთან თავი ისე დაიჭირეთ, რაგორც მას ეკადრება!  
მოიჩილად, თავ-მდაბლად და ზრდილობიანად.

კლემენტე. ჟაკ! შეგიძლია დაარწმუნო მამა-ჩემი, რომ თუ ის  
მე მარინას დამითმობს, მთელს ჩემს სიცოცხლეში იმის  
ყურ-მოჭრილ ყმად გავხდები და ჩემისთანა მოიჩილებას  
იმას მთელ ქვეყანაზე ვერავინ ვერ გაუწევს.

ჟაკ. (ჭარბაგონს ეტყვის) რაც გინდოდათ, შევასრულე. ის ყვე-



დაფურცელს თანხმა გაგინდათ.

ჰარპაგონი. ეგ გარგად მოახერხე!

ჟაკ. (კლუანტს ეტყვის) დიად, გაკათავე ყველაფერი, მამა-თქვენნი ყაბუჯს აწის!

კლუანტი. მადლობა დიქრთსა!

ჟაკ. ბატონებო! ახლა თქვენ მოილაპარაკეთ ერთმანეთში: ხომ შეგარბეთ. მე რამ არ დაგსწრებოდით, ვაი კინკლავა მთავრიდოდით.

კლუანტი. ჟაკ! შენგან მე დიდად დაგაფებული ვარ.

ჟაკ. დაგაფებად არა დიქს ბატონო!

ჰარპაგონი. ჟაკ! შენ მე დღეს დიდად მასიამოვნე; საჩუქრის დიქსი ხარ და (ჰარპაგონი ჯიბეში ხელს ჩაიყრთ, ჟაკიც ხელს გაუწვდის; მაგრამ ჰარპაგონი მხალხოდ ხელსასხლცს ამოიღებს ჯიბიდან და ეტყვის): არც დავივიწყებ.

ჟაკ. დიქრთმა თქვენი წყალობა ნუ მომიშალობს, ბატონო!

გამოსვლა 5.

ჰარპაგონი, კლუანტი.

კლუანტი. მამა-ჩემო! გთხოვთ, მამაკითხეთ ჩემი გულ-ფიცხობა.

ჰარპაგონი. მიპატიებია.

კლუანტი. გარწმუნებთ, რამ მას აქედ დიდ სინანულში ვარ.

ჰარპაგონი. მე ვი სიხარულით ცას გეწევი, რამ შენ ჭკუა-ფედ მოსუჯსა გხედავ.

კლევანტი. რა სულ-გრძელი ბრძანდებით, რომ ეგრე ძალე  
იგონებთ ჩემს ურჩობას.

ჰარპაგონი. თუ კი შეინახებს, ემაწვილ-კაცს შეცდომა ყო-  
ველთვის მიუტავება.

კლევანტი. პატრონსანს სიტუვას გაძლეკო, მამა-ჩემო, რომ  
თქვენი გულ-გეთილობა სიკვდილამდის მესხომება.

ჰარპაგონი. მე კი იმას გეტყვო შეილო, რომ, რაც უნდა  
მთხოვო, ყველაფერს შეგისრულებ.

კლევანტი. რახან მარინას თავს არ მასწორებ, სხვა ახა რაზე  
უნდა შეგაწუხო?

ჰარპაგონი. რა!

### ბაგოსვლა 6.

კლევანტი და ლაძლეში, რომელიც ბადიდგან  
გამოდის, ხელში უუთი უჭირავს.

ლაძლეში. ოჰ, ბატონის შეილო, რა კარგს დროს გნახე!  
ჩქარა უკან გამოძევი.

კლევანტი. რა ამბავია?

ლაძლეში. უკან გამოძევი მეტქი; ჩვენი საჭმე კარგად მი-  
დის...

კლევანტი. როგორ!

ლაძლეში. აი, ამასია შენი ბედი.

კლევანტი. რას ამბობ?

ლაძლეში. რომ იცოდე, მთელი დღე სულ ამას ვუთვალ-  
თვალე.

კლიენტო. კვ რა არის?

ლატალი. მამი-შენის დოკლათი ხელში ჩაგიგდე.

კლიენტო. როგორ მოახერხე, შე ეშმაკო!

ლატალი. ამას შერე გაიგებ; გესმის, მამა შენი როგორ  
საგონად ღრიალებს?

გამოსვლა 7.

ჰარპაგონი. (ბალიდგან შემოდის ყვირილით) არიქა, ქურდი!  
ქურდი! დაიჭით, დაიჭით, კვ ავაზაკი, კაცის ძველი!  
ოჰ, შე სამართლიანო, დაღმცვილო ღმერთო! ეს რა ამ-  
ბავია ჩემს თავზე?! დაუღუბე! გამცარცვეს! უელი გა-  
მომჭრეს! ვინ იქნებოდა? როგორ მოენახო? საით წავი-  
დე, საით არა? იქ ხომ არ იქნება; ვინ იცის, იქნება  
აქვია! დადექ, დადექ! (წაივლებს ხელს თავის ძველზე)  
ფულები, ჩემი ფულები დამიბრუნე! ფულები დამიბრუნე  
მუთქი! ვაიმე! ეს ხომ მე ვარ. ჭკუა ამერია. არ ვიცი სა-  
და ვარ, ვინა ვარ, რას ვშვრები? ვაი ჩემო, ჩემო საყვა-  
რელო ფულებო! ვაი ჩემო, ერთგულო ძეგობარო! წამარ-  
თვეს შენი თავი! დამეკარგე! შენ დამეკარგე, მაგრამ შენ-  
თან ნუგეში და სიხარულიც დამეკარგა! მართლა, რით  
ვიცხროვარ? ამის შემდეგ რით ვინუგეში! მე ამ სოფლად  
რაღა უნდა გავაკეთო! რაღად მინდა სიცოცხლე! კვადები;  
სამარეშიაც ჩაშვებას მიპირებენ. ვინ განდებს ჩემი ღმერ-  
თი! ვინ ჩამიდგამს მუხრედ სულსა! ვინ დამიბრუნებს  
ჩემ ფულსა?! ვაიმე რას ვბოდავ! ვის ვუღაპარავები? რა  
ვარგო ღრე ამოურჩევია იმ არა წმინდას იმას; სწორედ  
3

მასინ დაკუკლავარ, რადესაც მე ჩემ თავსად შეიღს ვე-  
 ჯაზარაკებოდი! გავიდე გარეთ, პოლიციას მანც ვაცნო-  
 ბო; მთელს ჩემს ოჯახს გავხვევ ამ საქმეში! გოგოებს,  
 ბიჭებს, ქალს, შეიღს და თვით ჩემს თავსაც, ჩვენებს  
 უნდა ჩამოვართვას. უჰ, ღმერთო, დიდ-ძალი ხალხი მოგ-  
 რთვიდა! ყველაზედ უკვირია მასქეს! ყველა ჩემი ქურდი მოგ-  
 ნია. იქ რაზედ ჯაზარაკობენ! ალბათ ჩემს ქურდზედ! ზე-  
 ვით ვიდეკ რაღაც ხმაურობას! ალბათ ჩემი ქურდი იქ  
 არის! ოხ, ღმერთო! რა შეგცოდუ ამის თვასი! ხალხნო!  
 ნუ იღებთ ჩემს ცოდვას! მითხარით, ვინ გამოძიქრა ყელი?  
 თქვენში ხომ არ იმალება? ყველა მე შემომჩერებია! მამა-  
 სახჯისებო! მოსამართლენო! მომეშველეთ, თქვენი ჭირი-  
 მე! მე მინდა ყველანი ჩამოვადრხო! ყველანი ჩემზედ იცო-  
 ნიან, ალბად ესენიც ჩემი ქურდის ამფსონები არიან! მცვე-  
 ლებო! გზირებო! მტანჯველულო! მწკალებლებო! თუ ჩე-  
 მი ფული ვერ ვიპოვნე, ჩემ თავსაც ჩამოვიღრხო.

(ფარდა დაეშვება)

## მოქმედება მეხუთე

### გამოსვლა 1.

ჰარპაგონი და პოლიციის მოხელე.

მოხელე. დამაცადეთ, ბატონო! ჩემი ხელობა, მადლობა ღმერთსა, კარგად ვიცი. ამისთანა საქმეებში მე ხამი რადი ვარ. აი, ნეტავი იმდენი ათასი გატენილი რქოებით უუთები მომცა, რამდენი ვაჟ-ბატონიც მე სახრჩობულაზედ გადმოძიკიდა.

ჰარპაგონი. ყველა მოსამართლენი ვაფდებულნი არიან გამოიკვლიონ ეს საქმე და, თუ სამართალმა არ მიბრუნა ჩემი ფულები, — თითონ სამართალს სამართალში მივცემ.

მოხელე. აქ სასტიკი და მოხერხებული გამოძიებაა საჭირო. თქვენ ბრძანეთ, რამ ის უუთი...

ჰარპაგონი. რჩი ათასი რქოთი იყო გატენილი.

მოხელე. რჩი ათასი რქოთი!

ჰარპაგონი. დიაღ, რჩი ათასი რქოთი.

მოხელე. ეგ ხუმრობა აღარ არის.

ჰარპაგონი. ხუმრობა რასა ჭკვიან? არ არის ჭკუანაზედ ამისთანა სასტიკი სასჯელი, რამ ღირსეულად დაისაჯოს ეს ავაზაკობა?!..

მოხელე. რა გვარია ფულები იყო იმ უუთში?

ჰარპაგონი. სულ ნამდვილი ბაჭყალია თქონები.

მოხელე. ვის ახალაბთ ამ ქურდობას?

ჰარპაგონი. მთელ ქვეყანას! მე მსურს დაატუსაღოთ მთელი ქალაქის და მის ახალ-მახალ სოფლების მცხოვრებელი.

მოხელე. მე თუ დამიჯერებთ, ჯერ ნურავის ნუ დაათუბობთ, ენაღეთ ჩუმიად მიაგნოთ კვალს, რომ მერმე, განონისამებრ, ბეჯითად მოგვკიდოთ საქმეს ხელი და დაგობრუნოთ ფული.

## ბაგოსვლა 2.

ჰარპაგონი, მოხელე, ჟაკ.

ჟაკ. (სტენის უკან მიბრუნდება, საიდანაც მამოვიდა და იძახის) მე ესლავე დაგობრუნდება; უთხარი, რომ გამოსტყვიან უფლი, გატუსონ კარგად აღბე, გათუთქონ მერმე მდულარეში და ჩამოგვიდონ ჭერში.

ჰარპაგონი. (ჟაკს) ვინა? ვინც ფულიები მომპარა?

ჟაკ. მე იმ გოგონე მოგახსენებთ, რომელიც ეს აჩის ესლავთქვენის მოურავისაგან მომივიდა! რას მიბძანებთ: შეკვწათ, თუ მოკხარშოთ?

ჰარპაგონი. რა შეგოგება! (მოხელეს) ურიგო არ იქნება, რომ ამასთან მოილავარავოთ.

მოხელე. (ჟაკს) ნუ შეგეშინდებათ! მე არა ვარ იმისთანა გაცი, რომ სიწესვილი გაჭამო: საქმეს ჩუმიად წავიყვანთ.

ჟაკ. ვასმამხედ მიბრძანებთ?

მონელი. ბატონთან დასამალავი ანაჟი ანა გუაქას-რა, ჩემ-  
მა ძმობილა.

ჟაკ. მერწმუნეთ, ბატონო, გვცდები ვაი ვახშამი მოგიმზადოთ.  
ჰარპაგონი. მაგას ვინა გვითხავს შენ?

ჟაკ. ვახშამს თუ ვერ გიმზადებთ, ბატონო, რეგულარ რიგია,  
თქვენი მოურავის ბრალის; თავისის უაღრთით სჯიკე გა-  
მიჭირა.

ჰარპაგონი. ხმა ჩაწყვიტე! შენ ვინა გვითხავს ვახშამს ან  
სადილს? შენ იმ ფულის ამბავი მითხარი, მე რამე მომ-  
პარეს.

ჟაკ. თქვენ მოგპარეს ფული?

ჰარპაგონი. ჯო, მე მომპარეს! ახა ნუ დაგობრუნებია და ჩა-  
მოვადრწობინებ შენ თავს, თუ ვატი ვარ.

მონელი. ღმერთო ჩემო! ნუ გაუჭირე სჯიკე მაგ ვატი. მე  
მაგას სახეზე ვატყობ, პატრონისანი ვატი. ძალის დატა-  
ნება რა საჭიროა—ისედაც მართლს გვეტყვის. (უკვს)  
ჯო, ჩემო ძამია, თუ გამეტყულები, დასჯა ვი ანა, ვაი სა-  
ჩუქარსაც მიიღებ შენის ბატონისაგან. შეუძლებელია, რამე  
არ იცოდე ამ სჯიმისა.

ჟაკ. (ვანზე) ააა! თუ გადახდა მინდა ჩვენის მოურავისა,  
სწორედ ეხლას დრო. რაც ის შამოვიდა ამ რჯახში, ჩემ-  
ვის მოძვედიც ის გახდა, ბატონიც ის შეიქნა და  
ჯობებიც აქამდის გუდიდამ არ ამომსკლია.

ჰარპაგონი. რას ბუტბუტებ ბიჭო?

მონელი. (ჰარპაგონს) დაატალეთ, რილასაც თქმას აზიკებს:  
ავი გითხარით, პატრონისანი ვატია მეთქი.

ჟაკ. თუ მართალი ვინდათ, ქურდი თქვენი ერთგული მოურ-  
ავი უნდა იყოს.

ჰარპაგონი. ვაჟური?!

ჟაკ. დიაღ!

ჰარპაგონი. რომელიც მე ასე სანდო გაცად მიმაჩნდა?

ჟაკ. დიაღ, სწორედ ის!

ჰარპაგონი. მაგას რისთვის ჭფიჭობ?

ჟაკი. რისთვის?

ჰარპაგონი. ჭო!...

ჟაკ. რისთვის?... რისთვის და... მისთვის.

მოხელე. გარკი, მაგრამ რა საბუთები გაქვს?

ჰარპაგონი. ეგება დაინახე, რომ ის დადიოდა იმ ალავის  
ახლო-მახლო, სადაც მე ფულები მქონდა შენახული.

ჟაკ. დიაღ, ჭეშმარიტია. სადა გქონდათ თქვენ, ბატონო,  
ფული?

ჰარპაგონი. ბაღში.

ჟაკ. ჭო, სწორედ! სწორედ, რომ ბაღში ვნახე. რასში იყო  
ბატონო, ფულები?

ჰარპაგონი. ყუთში.

ჟაკ. ჰოოო! მე დაკუნახე იმას ყუთი.

ჰარპაგონი. ჭო და ის ყუთი რაგორი იყო?

ჟაკ. რაგორი ყუთი იყო?

ჰარპაგონი. დიაღ!

ჟაკ. რაგორი და ისე... ყუთისთანა...

მოხელე. ეს გვესმის, მაგრამ, ახა ნიშანი გვითხარა რამე?

ჟაკ. ის გახლდათ დიდი ყუთი.

ჰარპაგონი. მე რომ მომიხარეს ის პატარაა.

ჟაკ. ჭო, ისიც პატარაა, მაგრამ დიდი იმიტომაც ვსთქვი, რომ  
შეგ დიდი ფული იყო.

ჰარპაგონი. რა ფურისა იყო?



ქა. რატომ?

მონელი. დია!

ქა. ის იყო იმ თუქისა... აი იმ თუქისა... აი იმ თუქისა...  
(ჭარბაგონს) არ შეგიძლიანთ ბატონო, მომაგონოთ, რა  
თუქისა იყო?

ჭარბაგონი. ჭერი ჭას!...

ქა. წითელი იყო განა?

ჭარბაგონი. არა, ნაცრის თუქი.

ქა. ჭო, დია, ნაცრის თუქი... ცოტა მოწითელი, მეც მა-  
გის თქმა მინდოდა, დია...

ჭარბაგონი. ეჭვი არ არის! ის არის ნამდვილი! (მოხუცეს)  
დასწერეთ, ბატონო, დასწერეთ ამის ჩვენება. რა, ღმერ-  
თო! ვის უნდა მიუხდო ამას იქით. მას თუცა არაფერი  
ყოფილა! მოდი და ნუ იფიქრებ, რომ თითონ შენ გა-  
ჭურდავ შენ თავს.

ქა. (ჭარბაგონს) აი, ბატონო, თითონაც აგერ მოდის, ნუ  
ეჭვით მაინც, რომ მე გაგიმხილეთ ეს ამბავი.

### გამოსვლა 3.

#### იგინივე და ვაღერი.

ჭარბაგონი. აქ მოხრძანდი! აღიარე შენი ვაზაგობა, შენი  
უსინდისო მოქმედება, რომლის მზგავსი არა მომხდა-  
რა-რა ქვეყანაზედ.

ვაღერი. რა გნებავთ, ბატონო?

ჭარბაგონი. რაგორ არ წითლდები, შე მოლაღატეო, შენის

ავაზაკობისათვის?

ვალერი. რა ავაზაკობაზე ბრძანებთ, ბატონო?

ჰარპაგონი. რა ავაზაკობაზე ვბრძანებ, უსინდისო! მითომ არ იცი რაზედაც ვამბობ! ტყუილად ჭფიჭობ დაჭყარო შენი საქციელი. საქმე ცხადია, ყველაფერი შემატყობინეს. აგრე გადამიხადე ჩემი ამავი, განა ჩემს გასაოხრებლად შეძახედი ჩემს ოჯახში?

ვალერი. ბატონო, მასმ რადგანაც შეგატყობინეს, რაღადა უნდა დაგიძალოთ, სჯობს ისევე გამოვასშვარაო ყველაფერი.

ჟაკ. (გან'ზე) დიდება შენთვის დიერთო, ძალიან არ მივძინდარგან.

ვალერი. მე თვითონ მინდოდა ამავად მოლაპარაკება, მაგრამ შეძთხვევა არ მქონდა. ეხლა, რადგანაც საქმე ასეა, მე თქვენ გვედრებით დამშვიდებით მოისმინოთ ჩემი გარემება.

ჰარპაგონი. ახა, რა სიძარტლეს მეტყვი შე უსინდისო, შე ჭურღო შენა!...

ვალერი. ბატონო, მე ეგ სახელი არ მეკადრება. მართალია, დამნაშავე ვარ თქვენთან, მაგრამ ჩემი შეცოდება მოსატყუებელია.

ჰარპაგონი. როგორ თუ მოსატყუებელია? ამ გვარი ღალატობა, ამ გვარი კაცის კვლა!

ვალერი. ბატონო! ნუ სწუხდებით აგრე. როდესაც მომიტმენთ, თქვენ თითონვე დარწმუნდებით, რომ ჩემი შეცოდება აგრე დიდი არ არის, როგორც თქვენს გგონიათ?

ჰარპაგონი. აგრე დიდი შეცოდება არ არის, როგორც მგონია? რას რომა? ჩემი სისხლი, ჩემი გულ-ღვიძლი არაფერია, შე ავაზაკო, შენა?...

ვალერი. თქვენი სისხლი არ ჩავარდნილა ცუდს ხელში. მე იმისთანა კაცი არ ვარ, დაკუმავო იმას რამე და თუნდა დამეშავებინოს კიდევ, გასწორება ადვილია.

ჰარპაგონი. მეც ეგ მინდა, რომ დამიბრუნო, რაც წამართვი.

ვალერი. თქვენი პატიოსნება, ბატონო, სრულიად დაცული იქნება.

ჰარპაგონი. შენ ხემს პატიოსნებას ვინა გკითხავს. შენ ეს მითხარი, ვინ ჩავარდნი ამ გვარი საქმე?

ვალერი. ნუ თუ მაგასაც მკითხამთ?

ჰარპაგონი. დიაღ, სწორედ გკითხავ.

ვალერი. მე ეგ ჩამავარდა სიყვარულმა.

ჰარპაგონი. სიყვარულმა?

ვალერი. დიაღ.

ჰარპაგონი. ხედი რქოების სიყვარულმა? უცხო სიყვარულია თქვენმა მხემ!..

ვალერი. არა ბატონო, თქვენს სიძლიერეს არ გავუტაცნივარ, არ დაუბრძობივარ. მე ეხლავე უარსა ვუთხ მათ, რადონდ დამანებო ის, რაცა მაქვს.

ჰარპაგონი. მე შენ შავს ქვას დავანებებ! ნაჭურღალის შერჩენაც უნდა.

ვალერი. განა ეს ქურდობაა?

ჰარპაგონი. ქურდობაა? ამოდენა საუნჯის მოპარვა!

ვალერი. თქმა არ უნდა საუნჯეა, უძვირესესი ყოველის თქვენის სიძლიერისა, მაგრამ, რომ დამითმოდ, განა ეგ დაკარგვა იქნება? მუხლ-მთდრეკილი გვედრებით, ნუ გამომართმევთ ხელიდამ სანატრელს საუნჯეს...

ჰარპაგონი. რას მიეღებ-მოეღები?

ვალერი. ჩვენ მივეცით ერთმანეთს სიტყვა და ჩვენი გაყრის შეუძლებელია.

ჰარპაგონი. კაი დაპირებაა!

ვალერი. დიაღ, ჩვენი საუკუნოდ შეერთება გადაწყვეტილია.

ჰარპაგონი. უკაცრავად ბრძანდებით: თავის დღეშიაღ არა.

ვალერი. სიკვდილის მეტი ჩვენ ვერაფერი გავგვერის...

ჰარპაგონი. ძალიან არ შეჭყვინტინების ამ შეჩვენებულს ჩემი ფულები?

ვალერი. მე მოგახსენებთ, ბატონო, რომ ფულისათვის კი არ ჩამიდენია ის ამბავი, ჩემი გულის ამგზნები ის კი არ იყო, თქვენ რომ ფიქრობთ, არა, უფრო კეთილშობილმა გრძნობამ ჩამადენინა ეს საქმე...

ჰარპაგონი. ერთი ამას უყურეთ, ლამის არის დამიძვრილი, რომ ქრისტიანული სულ-გრძელობის გამო შეიყვარა ჩემი ფულები. მაგრამ არა, ეს თავის დღეში არ მოხდება. მე შენ გაჩვენებ, შე უსივრცხვილო, შე ავაზაკო, რომ სამართალი კიდევ არის ქვეყანაზედ.

ვალერი. როგორც გნებავდეთ, ისე მოიქცით. მე მზადა ვარ ავიტანო ყოველი დასჯა, რასაც თქვენ გადამიწყვეტთ; მაგრამ იცოდეთ კი, რომ ამ საქმეში, თუ კი რამ შეცვლდება მოიპოვება, მე ვარ დამნაშავე და თქვენი ქალი კი სრულებით შეძლოდა არ არის თქვენს წინაშე.

ჰარპაგონი. მაგას რაღა შენი თქმა უნდა! კარგი კი იქნებოდა, რომ ჩემი ქალი გარეუფიყო ამ ბინძურს საქმეში. მე მინდა მხოლოდ გამოძიებდე შენ, რა ადგილას მომიტაცე ჩემი საუნჯე?

ვალერი. მე? მე თქვენთვის არაფერი მომიტაცინია: თქვენი საუნჯე თქვენთანაა.

ჰარპაგონი. ოჰ, ჩემო ძვირფასო ყუთო! (ხმა-მაღლა) მამის  
ჩემის სახლიდამ არ დაძრულა.

ვალერი. არა, ბატონო.

ჰარპაგონი. მას ერთი მითხარი: შენ მისთვის ხელი არ  
გისწავს?

ვალერი. მე იმას ხელს ვახლებდი! ღმერთმა დაძვირეს!  
თქვენ ტყუილად ცილს გვწამებთ: იმასა და მეცა. მე ვი-  
წვი მისთვის წმინდა უბიწო საყვარულით.

ჰარპაგონი. დახეთ, დახეთ, იწკლდა ჩემი ყუთისათვის!

ვალერი. მე უფრო სიკვდილს ვარჩევდი, ვიდრე იმაზე რას-  
მეს თაკში გაკიტარებდი. შეურაც-მყოფი არა ვარ შეე-  
ხება იმას, ვინც იმისათვის ჭკვიანი და ჰატოლსანი.

ჰარპაგონი. ვინა? ჩემი ყუთის ჰატოლსანი?

ვალერი. ჩემი სურვილი მხოლოდ იმაში მდგომარეობდა,  
რომ დაკმტობარვიყავი იმისი ცქერით და არა ვითარი ცუ-  
დი არა ვარ ჭრუნოდა იმ უმანკო გრძნობას, რომელიც  
ჩემში იმისმა მშვენიერმა თვალებმა აღძრა.

ჰარპაგონი. ჩემი ყუთის მშვენიერმა თვალებმა! ისე ლაპარაკ-  
ობს ჩემს ყუთზე, თითქოს ამის საყვარელი იყოს.

